პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ФИЗКУЛЬТУРА И СПОРТ

№ 44 (5074)

1974 წ. მარტი, კვირა. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

საბჭოთა ნაკრები ნახევარფინალში

ბერლინი, 2 მარტი. ხელბურთელ ვაჟთა მსოფლიო ჩემპიონატის შეორე დღეს სსრ კავშირის ნაკრები იაპონიის გუნდს შეხვდა და დაამარცხა — 25:18 (13:7). საბჭოთა სპორტსმენები ინიციატივას თავიდანვე დაეუფლნენ და მალე დაწინაურდნენ — 4:0. ამ შეხვედრაში ყველაზე შედეგიანი იყვნენ ოგანეზოვი (გაიტანა 6 ბურთი), მახორინი (5) და მაქსიმოვი (4).

იმ ქვეჯგუფში, სადაც ჩვენი ხელბურთელები გამოდიან, კიდევ ერთი მატჩი შედგა. გდრ-მ სძლია აშშ-ს სპორტსმენებს — 35:14 (16:6).

სხვა შეხვედრებიდან აღსანიშნავია ჩეხოსლოვაკიის გუნდის გამარჯვება დანიელებთან — 16:12 (7:4) და რუმინელებისა — ესპანელებთან — 21:11 (12:8).

შაბათს მსოფლიო ჩემპიონატზე დასვენების დღე იყო. კვირას შესამე ტურის შეხვედრები გაიმართება. საბჭოთა სპორტსმენები გდრ-ის ნაკრებს ეთამაშებიან, ამ მატჩის შედეგის მიუხედავად, სსრ კავშირისა და გდრ-ის ხელბურთელებს ნახევარფინალში მონაწილეობა განაღდებული აქვთ.



თბილისელი ჭაბუკები

ზამთრის საკავშირო სპარტაკიადების ღირსება იხიც არის, რომ სარბიელზე გამოსვლის უფლება უფროსების გარდა იუნიორებსაც ეძლევათ. მათთვის შეჯიბრებები ყველა სახეობაში ცალ-ცალკე ეწყობა, შედეგი კი საერთო გუნდურ ჩათვლაში შედის. ამიტომაც იყო, რომ ყველა რესპუბლიკაში, ოლქში, მხარეში იუნიორ მოთხილამურეთა დაოსტატებას მეტი ყურადღება დაეთმო.

საქართველოს ზამთრის სპარტაკიადაში იუნიორებმა გამოცდა ცუდად როდი ჩააბარეს. მათ თავი განსაკუთრებით ისახელეს სამთოთხილამურო სპორტში და საკავშირო სპარტაკიადისთვის მზადყოფნა დაადასტურეს.

რესპუბლიკის იუნიორთა ნაკრებში ადგილის მოპოვებისთვის უმეტესად თბილისის გუნდის წევრები: უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მეორეკურსელი გ. ლომინაძე, სამხატვრო აკადემიის არქიტექტურის ფაკულტეტის პირველკურსელი ნ. ურუშაძე, არმიელი ლ. ბანდური, ბორჯომელი ვ. ჭიჩოვი და სხვები იბრძოდნენ. ყველაზე სტაბილურად გამოვიდნენ ბანდური და ლომინაძე, რომლებმაც სამივე სახეობაში საპრიზო ადგილები დაიპაკუთრეს.

ბანდურმა მოიგო სპეციალური და გიგანტური სლალომი, ურუშაძემ — სწრაფდაშვება, ლომინაძემ კი ორი II და ერთი III ადგილი მოიპოვა.

საქართველოს იუნიორი სამთოთხილამურეები, ისევე როგორც მათი უფროსი ამხანაგები, გადამწყვეტი სტარტებისთვის მზად არიან. მალე ისინი „სახელმწიფო გამოცდებზე“ წარდგებიან.

* * *

სურათებზე: ზევით — გ. ლომინაძე, შუაში — ლ. ბანდური, ქვევით — ნ. ურუშაძე ასპარეზობის დროს.

მ. ზაქარეიშვილისა და ო. გელაშვილის ფოტოები. (ჩვენი სპეც. კორ.).



● ლენინგრადი, 2 მარტი. გუშინ აქ დაიწყო ცნობილი რუსი გოლიათის ი. პოდდუბნის თასის გათამაშება კლასიკურ ჭიდაობაში, რომელშიც გამოდიან 13 ქვეყნის ათლეტები. გამარჯვებულნი ხვალ გამოვლინდებიან.

● სოჩი, 2 მარტი. ამ შავი ზღვისპირა საკურორტო ქალაქში გაიმართა საკავშირო თასის გათამაშება აფროსნობაში. „სოლინგის“ კლასში I ადგილი დაიკავა ესტონეთის წარმომადგენელმა ა. ჩუჩელოვმა. „470“-ის კლასში ყველას აჯობა ვ. პოტაპოვმა (რსფსრ). „ტემპესტის“ კლასში უძლიერესი იყო უკრაინელი სპორტსმენი ვ. მანკინი, ხოლო „ტორნადოში“ — ვ. ვასილიევი (მოსკოვი). „ფინის“ კლასის ნავებით შეჯიბრებაში პირველობა არავის დაუთმო მოსკოველმა ა. ბალაშოვმა, ხოლო „მფრინავი ჰოლანდიელებით“ შეჯიბრებაში უძლიერესი იყო გ. გუსენკო (უკრაინა).

● ბრუინეცი, 2 მარტი. ჩეხოსლოვაკიის ამ ქალაქში გაიმართა სიმაღლეზე მხტომელთა საერთაშორისო შეჯიბრება. I ადგილი მოიხვეჭა უნგრელმა ე. კელემენემ, რომელმაც 221 სმ გადალახა. II ადგილზეა რ. ბაილშმიდტი (გდრ) — 218. ასეთივე შედეგი ჰქონდა ვ. გავრილოვს (სსრ კავშირი), ჭალებში ყველას აჯობა რუმინეთის წარმომადგენელმა კ. პოპესკუმ — 189 სმ.

● გმნუა, 2 მარტი. მძლეოსანთა საერთაშორისო შეჯიბრებაში მაღალი შედეგი აჩვენა ფინელმა ჭოკით მხტომელმა ა. კალიომიაკიმ. მან 535 სანტიმეტრზე მდებარე თამასა გადალახა.

● მოსკოვი, 2 მარტი. ძმები ზნამენსკების სახელობის მანეჟში გაიმართა სსრ კავშირისა და გდრ-ის ახალგაზრდული გუნდების მატჩი, სადაც ნაჩვენები იქნა რამდენიმე მაღალი შედეგი. შეხვედრა მოიგეს საბჭოთა ნაკრების წარმომადგენლებმა — 110:97.



◆ კისლოვოდსკი, 2 მარტი. პრეტენდენტთა ტურნირი IX ტურში ალექსანდრიამ დაამარცხა კონოპლიოვა, ხოლო შულმა — ლევიტინა. ცხრა ტურის შემდეგ ალექსანდრიას 7 ქულა აქვს, შულსა და ლევიტინას — 5-5.

გოლო ადგილიდან — მეშვიდეზე

გუშინწინ გაიმართა კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის სამი კალენდარული შეხვედრა.

კიევი. „სტროიტელთან“ გამარჯვების შემდეგ თბილისის „დინამოს“ თამაში მოუხდა ადგილობრივ არმიელებთან. ეს გუნდი თბილელებისთვის ტრადიციულად რთული მეტოქეა. ბრძოლა ამჯერადაც უაღრესად მძაფრი იყო, მაგრამ არმიელებმა მაინც მიაღწიეს მიზანს — გაიმარჯვეს ანგარიშით 86:81.

ბარბუ. „კალევი“ მესამედ დამარცხდა. გუშინწინ მან ქულა დაუთმო მოსკოვის „დინამოს“ — 79:83.

კაუნასი. გასული ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორმა — „ქალგირისმა“ საგრძნობლად გამოიკეთა მდგომარეობა. სულ ორიოდე კვირის წინათ იგი აუტსაიდერი იყო, დღეს კი სატურნირო ცხრილში VII ადგილზეა. ამ წარმატებას კაუნასელმა კალათბურთელებმა მინსკის რადიოტექნიკის ინსტიტუტის გუნდთან გამარჯვების ხარჯზე მიაღწიეს — 113:88 (57:43).

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 8 მარტისთვის

	თ.	მ.	ბ.	ქ.
ცსკა	18	17	1611—1405	17
„სპარტაკი“	18	14	1362—1194	14
„სტროიტ.“	19	11	1608—1528	11
„დინ.“ (მ.)	18	10	1449—1412	10
„კალევი“	18	10	1438—1363	10
„დინ.“ (თბ.)	18	8	1381—1412	8
„ქალგირისი“	18	6	1406—1425	6
რტი	18	5	1258—1495	5
ასკ (რიგა)	18	5	1381—1526	5
ასკ (კიევი)	19	5	1431—1565	5

გათამაშდა ყველა საგზური

ლენინის სახელობის სპორტულ დარბაზში დამთავრდა კალათბურთელთა საქალაქო პირველობა, რომელიც მიეძღვნა საბჭოთა საქართველოს 53-ე წლისთავს. ეს შეჯიბრება, ამავე დროს, იყო შესარჩევი ტურნირი ზამთრის რესპუბლიკური პირველობისთვის.

ქალთა საგზურებს ერთმანეთს ეცილებოდა ორ ჯგუფად დაყოფილი 9 გუნდი. გადამწყვეტ მატჩში, რომელსაც ქალაქის ჩემპიონი უნდა დაესახელებინა, ისპარეზეს ფიზკულტურის ინსტიტუტისა და თბილისის განათლების განყოფილების წარმომადგენლებმა. პირველ ტაიმში ბრძოლა უაღრესად თანაბარი იყო. საკმარისია აღინიშნოს, რომ სადემონსტრაციო დაფა ექვსჯერ აჩვენებდა ფრეს და მხოლოდ თ. რილოვას რამდენიმე ზუსტი ტყორცნის შემდეგ დაწინაურდნენ სტუდენტები — 24:18.

სტუდენტთა უპირატესობა ეფრო შესამჩნევი გახდა მეორე ტაიმში. 28-ე წუთისთვის ისინი უკვე 18 ქულით იყვნენ წინ (43:25). ამის შემდეგ განათლების განყოფილების წარმომადგენლებმა გაძლიერეს ტემპი და მცირე ხნით ხელთ იგდეს ინიციატივა. მაგრამ საბოლოო ჯამში მათ მხოლოდ შეამცირეს სხვაობა, გაიმარჯვა ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდმა (მწვრთნელი კ. ბეთანელი) — 54:44.

ამ მატჩის საუკეთესო ხნაიპერები იყვნენ გამარჯვებული გუნდის წევრები თ. რილოვა (18 ქულა) და ს. დიასამიძე (15).

III ადგილისთვის ბრძოლაში უნივერსიტეტის კალათბურთელებმა დაამარცხეს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტები — 71:63 (33:29). ოთხივე კოლექტივი მონაწილეობას მიიღებს რესპუბლიკურ შეჯიბრებაში.

ვაჟთა ტურნირში 11 გუნდი ასპარეზობდა. წაუგებლად განვლო შეჯიბრება უნივერსიტეტის კოლექტივმა (მწვრთნელი საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი დ. ქამუშაძე). უნივერსიტეტელებმა ჯერ ყველა შეხვედრა მოიგეს ქვეჯგუფში, მერე კი გაიმარჯვეს გადამწყვეტი ეტაპის მატჩებში, მათ შორის მთავარ მეტოქესთან — „ბურევესტნიკთან“ — 91:82 (42:40). საპრიზო ადგილებზე გავიდნენ, ასევე, განათლების განყოფილებისა და „ბურევესტნიკის“ კალათბურთელები. ეს სამი კოლექტივი და „სინათლე“ მონაწილეობას მიიღებენ რესპუბლიკურ გათამაშებაში.

ლ. კნოლეველი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული

გაზაფხულის პირველ თვეში ბევრი საკავშირო თუ საერთაშორისო შეჯიბრება გაიმართება. მაგრამ, რა თქმა უნდა, ყურადღების ცენტრში სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის III სპარტაკიადა იქნება, რომელიც სვერდლოვსკსა და ბაკურიანში ჩატარდება.

გაგაცნობთ უმთავრეს შეჯიბრებათა კალენდარს.

ბიატლონი

29-31. იუნიორთა მსოფლიო პირველობა (მცირეკალიბრიანი იარაღის სროლა), კურიკა (ფინეთი).

ველოსპორტი

4-9. სსრ კავშირის ჩემპიონატი ტრეკზე (ლენინაბადი).

23. III.—1. IV. საერთაშორისო შეჯიბრება გზატკეცილზე — „ანაბის ტური“ (ალჟირი).

თავისუფალი ჭიდაობა

17. III—7. IV. აშშ-სა და სსრ კავშირის ნაკრები გუნდების შეჯიბრება (აშშ).

კალათბურთი

3-5. ქალთა საკავშირო ჩემპიონატი. „ა“ კლასის პირველი ჯგუფი. II ტური (ბაქო, ტაშკენტი).

26-31. ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატი. უმაღლესი ლიგა. ფინალური ტურნირი (ლენინგრადი).

26-31. ქალთა საკავშირო ჩემპიონატი. უმაღლესი ლიგა. III წრის I ტური (ფრუნზე, სვერდლოვსკი).

კლასიკური ჭიდაობა

3. საერთაშორისო შეჯიბრება ი. ბოდდუბნის პრიზზე (ლენინგრადი).

კრივი

23-31. სსრ კავშირის ჩემპიონატი (იჟევსკი).

ფაზიდის ჩოგბურთი

3-5. სსრ კავშირის ჩემპიონატი (ერევანი).

მძლეოსნობა

3. საკავშირო შეჯიბრება სიმაღლეზე ხტომაში. III ტური (დონის როსტოვი).

3. სსრ კავშირის ჩემპიონატი კროსსა და 30 კმ-ზე რბენაში. საკავშირო შეჯიბრება 10 კმ-ზე სპორტულ სიარულში (ევპატორია).

9-10. ევროპის ჩემპიონატი დახურულ დარბაზში. გეტებორგი (შვეცია).

14-15. საკავშირო შეჯიბრება სიმაღლეზე ხტომაში. IV ტური (მოსკოვი).

17-18. საერთაშორისო შეჯიბრება სიმაღლეზე ხტომაში (თბილისი).

საბუერო სპორტი

23-31. სსრ კავშირის ჩემპიონატი (ლენინგრადი).

სათხილამურო სპორტი

3. საერთაშორისო შეჯიბრება რბოლაში, ტრამპლინიდან ხტომასა და ორჭიდში. ლაჰტი (ფინეთი).

3. საერთაშორისო შეჯიბრება 85 კმ-ზე რბოლაში (შვეცია).

23-24. საერთაშორისო შეჯიბრება რბოლაში, ტრამპლინიდან ხტომასა და ორჭიდში. როვანიემი (ფინეთი).

სამგზ

13-17. სსრ კავშირის ჩემპიონატი (კაუნასი).

28-30. საერთაშორისო შეჯიბრება (ბაქო).

საცეცხლურაო სპორტი

3. საერთაშორისო შეჯიბრება ს. კიროვის პრიზზე (კიროვი).

23-24. სსრ კავშირ — ნორვეგიის ვაჟთა მატჩი (ალმა-ათა).

30. III—2. IV. საერთაშორისო შეჯიბრება ყაზახეთის სსრ მინისტრთა საბჭოს პრიზზე (ალმა-ათა).

ტანვარჯიში

15-17. საკავშირო შეჯიბრება-კონკურსი მრავალჭიდის ცალკეულ სახეობებში (გორკი).

23-24. საერთაშორისო შეჯიბრება (მოსკოვი).

ერთი ინსტიტუტის სპორტული ცხოვრება



საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი რესპუბლიკაში ერთ-ერთი უდიდესი უმაღლესი სასწავლებელია. ინსტიტუტის ახალგაზრდობას უყვარს სპორტი, იცის, რომ იგი ყველაზე უებარი საშუალებაა ორგანიზმის წრთობისა და შრომისნაყოფიერების ამაღლებისა. ჩვენი დღევანდელი წერილის მიზანიც სწორედ ამ უმაღლესი სასწავლებლის სპორტული ცხოვრების გაშუქებაა.

დავიწყოთ მშდ კომპლექსით. შარშან ინსტიტუტმა ამ კომპლექსის 541 ნიშნისანი მოამზადა. მათგან თერთმეტმა ოქროს სამკერდე ნიშანი დაიმსახურა. ეს გეგმით გათვალისწინებულს ბევრად აღემატება. ნებაყოფლობითი სასოფ ლო სპორტული საზოგადოებების ცენტრალურმა საბჭომ ამ წარმატებებისთვის ინსტიტუტის ფიზკულტურის კათედრა ვიმპელით დაჯილდოვა.

ასევე წარმატებით შესრულდა თანრიგოსანთა მომზადების გეგმები. ნაცვლად გათვალისწინებული 180-ისა, მომზადდა 241 თანრიგოსანი. აქედან პირველთანრიგოსანია 45, მეორეთანრიგოსანი — 20, მესამეთანრიგოსანი — 173. მომზადდა, აგრეთვე, 3 ოსტატობის კანდიდატი. სამწუხაროდ, ინსტიტუტმა ვერც ერთი სპორტის ოსტატი ვერ მოამზადა.

შარშანდელი წელი ინსტიტუტის სპორტსმენებისთვის საკმაოდ დატვირთული იყო. გარდა შიდასაკოლექტივო ღონისძიებებისა, მათ მონაწილეობა მიიღეს ბევრ რესპუბლიკურ თუ საკავშირო ასპარეზობაში. ეგრეთ წოდებული „საშინაო“ შეჯიბრებებიდან ყველაზე ფართო მასშტაბისაა სპარტაკიადა. აქ როგორც წესი, სამი სახის სპარტაკიადები ტარდება: პირველკურსელთა, პროფესორ-მასწავლებელთა და საერთო, ინსტიტუტისა. პირველკურსელთა სპარტაკიადის პროგრამაში სამი სახეობა შედის (მძლეოსნობა, ფრენბურთი და კალათბურთი). შეჯიბრების ძირითადი მიზანია სტუდენტთა ჩაბმა სასწავლებლის სპორტულ ცხოვრებაში და საინსტიტუტო ნაკრებისთვის კანდიდატების შერჩევა. რაც შეეხება პროფესორ-მასწავლებელთა სპარტაკიადას, იგი ძირითადად გამჯანსაღებელი ხასიათის ღონისძიებაა და ტარდება ხუთ სახეობაში (ტყვიის სროლა, ჭადრაკი, ფრენბურთი, მაგიდის ჩოგბურთი და მინი-ფეხბურთი). მისი პირველი ლაურეატები არიან მექანიზაციის ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლები. აქ თუ მექანიზატორებმა იმარჯვეს, საერთო სპარტაკიადაში ყველას მომავალმა აგრონომებმა აჯობეს.

საქალაქო და რესპუბლიკურ შეჯიბრებებში მონაწილეობა მიიღეს ინსტიტუტის კალათბურთელებმა, ფრენბურთელებმა, მძლეოსნებმა, ფეხბურთელებმა, ტანმოვარჯიშეებმა... ფეხბურთელებმა ყველას აჯობეს ქალაქის მეორე ჯგუფის გუნდებს შორის. ამ გამარჯვებით მათ პირველ ჯგუფში თამაშის უფლება მოიპოვეს. უნდა აღინიშნოს, აგრეთვე, ტანმოვარჯიშეთა შეჯიბრება სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის“ პირველობაზე. აქ სოფლის მეურნეობის მომავალმა სპეციალისტებმა ბრწყინვალედ იასპარეზეს და პირველი სამი ადგილიც დაიკავეს. აბსოლუტური ჩემპიონობა მოიპოვა აგრონომიული ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტმა დ. მაისურაძემ.

საინტერესოა ისიც, რომ „კოლმეურნის“ რესპუბლიკურ პირველობაში ტყვიის მსროლელთა გუნდმა V ადგილი დაიკავა, თუმცა ინსტიტუტის სპორტსმენებს ამ სახეობაში წვრთნისთვის ძალიან ცუდი პირობები აქვთ. სასწავლო კორპუსის სარდაფში 25-მეტრიანი ტირია მოწყობილი, მაგრამ განათება არ ვარგა, სილუეტების დანადგარი არ მუშაობს და სხვ. ერთი სიტყვით, ამ ტირში მომზადებულ სპორტსმენს მაღალ შედეგებს ვერ მოსთხოვ. პროექტით კი ძირითად შენობასთან ერთად გათვალისწინებული იყო 100-მეტრიანი ტირის აშენება... სიტყვამ მოიტანა და ვიტყვით იმასაც, რომ პროექტით ტირთან ერთად საცურაო აუზის მშენებლობაც იყო გათვალისწინებული, მაგრამ არც ერთი საქმე გაკეთებულა, არც მეორე. ასევე ნახაზზე დარჩა ბაკურიანის სპორტულ-გამჯანსაღებელი ბანაკის შენობები. პროექტთან ერთად ხარჯთაღრიცხვაც შედგა, მაგრამ... ფიზიკური აღზრდის კათედრის თანამშრომლებმა აღარ იციან სად ჩააბარებინონ სტუდენტებს მშდ კომპლექსის ნორმატივები. ხან ერთი აუზის დირექციას ეკედრებიან ბაზა დაგვითმეთო, ხან მეორესას, მაგრამ, როგორც მოგეხსენებათ, იმათაც თავიანთი მრეული ჰყავთ... ასე გრძელდება წლიდან წლამდე და საშველი არ ჩანს. ხუთუ არავინ დაინტერესდება, რომ ეს საკითხები მოგვარდეს და სტუდენტებს ნორმალური წვრთნის საშუალება მიეცეთ?

დავუკვირდეთ სასოფლო-სამეურნეო უმაღლეს სასწავლებლებს შორის საკავშირო თამაშებში ჩვენი ნაკრები კოლექტივის შედეგებს. ამ თამაშებში 100-ზე მეტი უმაღლესი სასწავლებელი მონაწილეობდა. ჩვენმა ინსტიტუტმა გუნდები ვერ გამოიყვანა სან სახეობაში. ქართველი სტუდენტები მეტად რთული ამოცანის წინაშე იდგნენ. საერთო პირველი ადგილის მოსაპოვებლად მათ დიდი მარაგით უნდა მოეგოთ შეჯიბრებები დარჩენილ სახეობებში. ჩვენი სპორტსმენების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ეს ამოცანა მათ ბრწყინვალედ შეასრულეს და კომპლექსურ ჩათვლაში ძესამედ მოიპოვეს ჩემპიონის საპატიო წოდება.

ფიზაღზრდის კათედრას სპორტული ინვენტარიც აკლია. ყველაზე მეტად მაინც ველოსიპედების უქონლობა აწუხებთ. ამ მიზეზით ველოსექციის მუშაობა ფაქტიურად ჩაშლილია, საკავშირო თამაშების პროგრამაში კი ველოსპორტიცაა შეტანილი.

1974 წლის პირველი თვე პირველი გამარჯვებებით აღნიშნეს ქართველმა სტუდენტებმა: თავისუფალ ჭიდაობასა და საჭიდაოში გამართულ შეჯიბრებებში, რომლებიც საკავშირო თამაშების პროგრამაში იყო გათვალისწინებული, შესაბამისად III და I ადგილები მოიპოვეს. ამ თამაშების ბოლო შეხვედრები 1—10 ივლისს გაიმართება გორკში, სადაც კალთბურთელები იასპარეზებენ.

რ. საგინაშვილი.

* * *

სურათზე: სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტისა და თბილისის განათლების განყოფილების ფრენბურთელთა გუნდების შეხვედრის მომენტი.

ავტორის ფოტო.

სიყალბის დასასრული

ჩვენს რესპუბლიკაში მოცურავეთა მწვრთნელებს შორის ბოლო წლებში ერთმა მეტად მანკიერმა ჩვევამ მოიკიდა ფეხი: ნორჩ სპორტსმენთა გვერდით ცისფერ ბილიკებზე ხშირად უფრო მაღალი ასაკის სპორტსმენებსაც ვხედავდით. ასე ადიოდნენ საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე უღირსნი და იჩაგრებოდნენ მომავალი ოსტატები. ამას უველა ხედავდა, მაგრამ, ვინც ხმას აიმაღლებდა, მყისვე თვალწინ აუფრიალებდნენ დაბადების მოწმობებს, რომლებსაც ყალბი დიდების მაძიებლები როგორც ჩანს, სასურველი რაოდენობით შოულობდნენ. ზოგიერთი მოწმობების გასაყალბებლად ქიმიური საშუალებების გამოყენებასაც არ ერიდებოდა. ეს ფაქტი ერთი რგოლია იმ ჯაჭვში, რაც წლების მანძილზე ხელს უშლიდა ჩვენში ცურვის განვითარებას.

„ლელოს“ ფურცლებზე ჯერ კიდევ ამ 6 წლის წინათ დაიბეჭდა წერილი სათაურით „მხიარული დელფინის“ ნაღვლიანი ეტაპი, ანუ ვინ როდის დაიბადა“, მაგრამ ცდუნებას აყოლილმა ყალბისმჭნელებმა მაინც არ დაყარეს ფარ-ხმალი.

მდგომარეობა მხოლოდ შარშან შეიცვალა. რესპუბლიკისა და თბილისის სპორტკომიტეტების აქტიური მხარდაჭერით საარქივო მასალებში გადაისინჯა „მხიარული დელფინის“ თბილისის პირველობის ფინალის მონაწილეთა პირადი საბუთები. ვაი-მწვრთნელების საქმიანობას საბოლოოდ აეხადა ფარდა. მაშინ მკაცრი გაფრთხილება მიიღეს ასეთმა მწვრთნელებმა და დანაშაულისთვის წაქეზებულმა მშობლებმაც.

ამას წინათ ჩატარდა „მხიარული დელფინის“ თბილისის პირადი ჩემპიონატის პირველი ეტაპის ფინალი. მსგავსი ფაქტების გამეორებას, ცხადია, არ ველოდით, მაგრამ ფინალისტთა სიას მაინც გადავავლეთ თვალი. ამჯერად საამრიზო ადგილები ნამდვილად ღირსეულებს ხვდათ წილად. შეჯიბრების ორგანიზატორებმა ნორჩ მოცურავეებს სიურპრიზი მოუმზადეს: 31-ე პროფტექნიკური სასწავლებლის კლუბში პირველობის პრიზორების მშობლებისა და ახლობლების თანდასწრებით საზეიმოდ გადაეცათ დიპლომები და საჩუქრები. ცისფერი ბილიკების მომავალ ოსტატებს სიტყვებით მიმართეს საქართველოს სპორტკომიტეტის მთავარმა მწვრთნელმა, საქართველოს სსრ დამსახურებულმა მწვრთნელმა ვ. გოიაშვილმა და თბილისის სპორტკომიტეტის წარმომადგენელმა ა. ზუბბაიამ.

ახლა თვით შეჯიბრების შესახებ. ამთავითვე შევნიშნავთ, რომ შედეგები სახარბიელო არ ყოფილა, არც ერთ გამარჯვებულს არ უჩვენებია მეორე სპორტულ თანრიგზე უკეთესი შედეგი. მიზეზი იმაშიც უნდა ვეძიოთ, რომ თბილისელ მოცურავეებს წვრთნის ნორმალური პირობები არა აქვთ. ისიც უნდა ითქვას, რომ მწვრთნელები, როგორც ჩანს, ნაკლებ უურადღებას აქცევენ შეჯიბრების წესების სწავლებას. მაგალითად, მოხვევის დროს წესის დარღვევისთვის შეჯიბრებიდან მოიხსნენ თბილისის განათლების განყოფილების წარმომადგენელი ე. სივოპლისოვი და ვ. მაჭავარიანი, დინამოელი გ. ფილია, „შრომითი რეზერვებიდან“ — ი. მუეიჩენკო და სხვ.

ცალკეულ დისტანციაზე I ადგილები მოიპოვეს დინამოელებმა მ. დანელიშვილმა, ნ. გაჩეჩილაძემ, ს. ქელეძემ, ს. სოვდაგრიშვილმა და ვ. კუზიჩმა, განთიადელებმა მ. ჯანჯღავამ, გ. ფსუტურმა, დ. იაკოვლევმა, პ. ჯიბლაძემ და გ. უიეილაშვილმა, „შრომითი რეზერვებიდან“ — ი. აზმაიფარაშვილმა და ო. რეშეტნიკოვმა, თბილისის განათლების განყოფილებიდან — მ. პატარაკაციშვილმა.

თ. გაჩეჩილაძე.

შეჯიბრების მთავარი მსაჯი.

ჭადრაკი

მკითხველთა უმოქმედება

რედაქციაში ხშირად შემოდის მკითხველთა საჭადრაკო ამოცანები და ეტიუდები. ამას წინათ ამოცანები გამოგვიგზავნეს მ. კორძახიამ, ჯ. ჩიქოვანმა (ორივე — აბაშა), რ. მარცვალაშვილმა (დუშეთის რაიონი, სოფ. ჩარგალი), ო. მამულაშვილმა, გ. ქიტესაშვილმა (ორივე — თბილისი), ნ. ფანჯაკიძემ (წაღვერი), ნ. ერაძემ (რუსთავი), ი. საზონოვმა (მოსკოვი) და რ. გურულმა (ზესტაფონი). ავტორების უმრავლესობა ახალგაზრდაა. ეს, რა თქმა უნდა, მათს ნაშუშვრებსაც ეტყობა.

ახალბედები თითქმის არ იცნობენ საკომპოზიციო იდეებს, თემებს, შედგენის ტექნიკურ ხერხებს. ამიტომ მათი ამოცანები მოძველებული ცუბაცანგის თემაზეა აგებული, მოკლებულია გამოსახვის ეკონომიურობას, ბევრია ზედმეტი ფიგურა და ა. შ. სწორედ ეს გვაძლევს უფლებას ვთქვათ, რომ ახალბედები არ იცნობენ სპეციალურ ლიტერატურას, ნაკლებად აანალიზებენ აღიარებულ ხელოვანთა ნაწარმოებებს.

გთავაზობთ რუსთაველი ნ. ერაძის ამოცანა-მინიატურას:



შამათი სამ სვლაში

ზოგი მკითხველი ეტიუდების თხზვას ცდილობს. ეს, რასაკვირველია, უფრო ძნელი საქმეა და პრაქტიკულ ძალასთან ერთად შემდგენლისგან ჭადრაკის თეორიის ცოდნასაც მოითხოვს.

ბოლო დღეებში რედაქციაში შემოვიდა ნ. ფანჯაკიძისა და ი. მაწონაშვილის (ქუთაისი) ეტიუდები.

ფანჯაკიძე დიდი ხანი არ არის, რაც კომპოზიციას ეზიარა, მაგრამ შუაკაცი მუშაობით უკვე რამდენიმე ეტიუდი შექმნა. მას ამოცანების თხზვაც ეხერხება (ერთ-ერთი „ლელოს“ ფურცლებზეც დაიბეჭდა). ახლა მისთვის აუცილებელია ჭეშმარიტ კომპოზიტორებთან შემოქმედებითი კონტაქტები.

გთავაზობთ ი. მაწონაშვილის ეტიუდს:



თეორები ივებენ

ქუთაისელი ეტიუდისტიც ახლახან გამოვიდა სარბიელზე, მაგრამ სწრაფად ოსტატდება. ცნობილმა თბილისელმა კომპოზიტორმა რ. თავარიანმა მაღალი შეფასება მისცა მაწონაშვილის ეტიუდებს.

სხვათა შორის, მათმა კოლექტიურმა ეტიუდმა ამას წინათ „განთიადის“ საკავშირო კონკურსში V პრიზი დაიმსახურა.

თ. გიორგაძე.

ჭადრაკი

შაქრაქა

რ. თავარიანი (თბილისი)



სვლა თეორებისაა

ქართული კერძის სახელს მიიღებთ, თუ თეორების სვლის შემდეგ ერთ-ერთი ფიგურის სახელწოდებას შექმნილი პოზიციის აზრს მიუწერთ.

მ ა რ ტ ი

26-28. საერთაშორისო შეჯიბრება (რიგა).

ფარიკაობა

3. საერთაშორისო შეჯიბრება დაშნით ფარიკაობაში (რუსინეთი).

21-23. საერთაშორისო შეჯიბრება — „ვოლოდიევსკის ხმალი“. ვარშავა (პოლონეთი).

ფეხბურთი

24. უეფა-ს ტურნირი ჭაბუკთა შორის. შესარჩევი მატჩი: სსრ კავშირი — პოლონეთი (მუკაჩევო).

31. უეფა-ს ტურნირი ჭაბუკთა შორის. შესარჩევი მატჩი: ჩეხოსლოვაკია — სსრ კავშირი (ზვოლენი).

ფიგურული ციგურაობა

5-9. მსოფლიო ჩემპიონატი. მიუნჰენი (გფრ).

ფრენბურთი

3. ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების ფინალი. მონაწილეობს ცსკა-ს ვაჟთა გუნდი (საფრანგეთი).

7-9. ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშება. ვაჟთა შეჯიბრების ფინალი. მონაწილეობენ ვოროშილოვგრადის „ზვეზდა“ და რიგის „რადიოტექნიკი“ (ბელგია).

8-10. ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშება. ქალთა შეჯიბრების ფინალი. მონაწილეობს მოსკოვის „დინამო“ (თურქეთი).

11-13. ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასი. ქალთა გუნდების ფინალი. მონაწილეობს ცსკა (იუგოსლავია).

12-17. ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატი. უმაღლესი ლიგა. III ტური (ვოროშილოვგრადი).

14-19. ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატი. უმაღლესი ლიგა. III ტური (ლენინგრადი).

15-17. ქალთა საკავშირო ჩემპიონატი. „ა“ კლასის I ჯგუფი. III ტური (ალმა-ათა, მოგილიოვი).

16-21. ქალთა საკავშირო ჩემპიონატი. უმაღლესი ლიგა. III ტური (დონეცკი, პერვოურალსკი).

19-25. ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატი. „ა“ კლასის I ჯგუფი. III ტური (სიმფეროპოლი, ტაშკენტი).

ცურვა

3. საერთაშორისო შეჯიბრება. ბრემენი (გფრ).

18-20. საერთაშორისო შეჯიბრება. მონრეალი (კანადა).

26-30. საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრება გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდას“ პრიზზე (მოსკოვი).

ძალოსნობა

16-20. საერთაშორისო შეჯიბრება — „მეგობრობის პრიზი“ (ერევანი).

წყალბურთი

3-6. სსრ კავშირის ჩემპიონატი. უმაღლესი ლიგა. პირველი წრის I ტური (ძერჟინსკი, ტალინი).

23-29. სსრ კავშირის ჩემპიონატი. უმაღლესი ლიგა. პირველი წრის II ტური (ედანოვი).

წყალში ხტომა

8-9. ევროპის ჩემპიონატი ერთმეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში (იტალია).

14-17. საერთაშორისო შეჯიბრება (მინსკი).

22-24. საერთაშორისო შეჯიბრება. როსტოკი (გდრ).

ხელბურთი

22-28. ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატი. „ა“ კლასის I ჯგუფი. II ტური (კაუნასი).

ჰოკეი

10-12. ჩეხოსლოვაკიისა და სსრ კავშირის ნაკრები გუნდების შეჯიბრება (ჩეხოსლოვაკია).

19-20. ფინეთისა და სსრ კავშირის ნაკრები გუნდების შეჯიბრება (ფინეთი).

22-30. იუნიორთა ევროპის ჩემპიონატი (შვეიცარია).

24-29. შვეიცარიისა და სსრ კავშირის ნაკრები გუნდების შეჯიბრება (შვეიცარია).

ორი მოქმედების შემდეგ

უკან დარჩა სათხილამურო სპორტში მსოფლიო ჩემპიონატების ორი სეზონი. სანკტ-მორიცში (შვეიცარია) შედეგები ძალიან სამთამოთხილამურეობა, ფალუნში (შვეიცია) კი დავა სხვა სახეობათა მოყვარულებმა დაამთავრეს. მესაჰე ჩემპიონატს — ბიატლონისტების ასპარეზობას რაუბიჩი (ბელორუსია) ნასპინძლობს და ამ შეჯიბრების შემდეგ ყველა მედლის ბედი გადაწყვეტილი იქნება.

განვლილმა ეტაპებმა ევროპის ქვეყნების მოთხილამურეთა აშკარა უპირატესობა დაადასტურა: სანკტ-მორიცსა და ფალუნში გათამაშებული მედლების 18 კომპლექტიდან ევროპის კონტინენტიდან მხოლოდ ერთი მედალი წავიდა. იგი წაიღო კანადელმა სამთამოთხილამურემ ბ. კლიფორდმა, რომელმაც სწრაფდაშვებაში მხოლოდ მსოფლიო თასის სამგზის მფლობელთან, ავსტრიელ ა. პრიოლ-მოზერთან წააგო.

წლევანდელმა ჩემპიონატებმა ევროპის ქვეყნებში სათხილამურო სპორტის განვითარების კიდევ ერთი საინტერესო ფაქტი გამოავლინა: აშკარა გახდა, რომ რიგ სახელმწიფოთა ფედერაციები უმეტესად სამთოსათხილამურო სპორტის განვითარებისთვის ზრუნავენ, სხვა სახელმწიფოებში კი უფრო ხიჭიერი მორბენლები, ორჭიდელები და „მფრინავი მოთხილაზურები“ ჰყავთ. პირველთა წარმომადგენლებმა სანკტ-მორიცში გამოიჩინეს თავი, მეორეთა სპორტსმენებმა — ფალუნში. მხოლოდ პოლონეთის სპორტსმენებმა მიაღწიეს წარმატებას სანკტ-მორიცშიც და ფალუნშიც. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ სანკტ-მორიცში გათამაშებული მედლების 8 კომპლექტი 9 ქვეყნის სპორტსმენებმა დაიანაწილეს, ფალუნში კი ჯილდოების 10 კომპლექტი მხოლოდ 7 ქვეყნის წარმომადგენლებს ერგოთ.

სამთოსათხილამურო სპორტში სამგზის ოლიმპიური ჩემპიონის, ავსტრიელი ტ. ზაილერის მოწაფეების უპირატესობა წლეულს აშკარა იყო. შვეიცარიის მთებში მათ ყველაზე მეტი მედალი მოიპოვეს. ფალუნში ყველას გდრ-ის მოთხილამურეებმა აჯობეს. აღსანიშნავია, რომ სკანდინავიის ქვეყნების სპორტსმენებს, რომლებიც ფალუნში მთავარ ფავორიტებად ითვლებოდნენ, არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლებში სამივე საპრიზო ადგილი სოციალისტური სახელმწიფოების წარმომადგენლებმა „წაართვეს“.

აი, როგორ განაწილდა მსოფლიო ჩემპიონატების მედლები:

სანკტ-მორიცი

	ოქრო	ვერცხლი	ბრინჯაო
ავსტრია	3	3	2
საფრანგეთი	2	1	1
იტალია	2	0	1
ლიხტენშტაინი	1	1	1
გფრ	0	1	1
კანადა	0	1	0
პოლონეთი	0	1	0
ესპანეთი	0	0	1
შვეიცარია	0	0	1

ფალუნი

გდრ	5	6	0
სსრ კავშირი	3	1	3
ჩეხოსლოვაკია	0	2	2
შვეცია	1	0	1
ნორვეგია	1	0	1
ფინეთი	0	1	1
პოლონეთი	0	0	2

როგორც ხედავთ, სსრ კავშირის სპორტსმენებმა წინა მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ ერთი ნაბიჯით უკან დაიხიეს. ეს ვაჟთა გუნდის მარცხის შედეგია. ოთხი წლის წინათ შტრესკეპლესოდან (ჩეხოსლოვაკია) მათ 4 ოქროს მედალი ჩამოიტანეს, ფალუნში კი ვერც ერთი მთავარი ჯილდო ვერ მოიხვეჭეს. სამაგიეროდ, გდრ-ის მოთხილამურეებმა არნახულ წარმატებას მიაღწიეს: ამ სახელმწიფოს არსებობის ისტორიაში დღემდე ერთადერთი ჭ. რეკნაგელი იყო, რომელმაც მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. ეს იყო 1962 წელს ზაკოპანეში (პოლონეთი), სადაც რეკნაგელმა დიდი ტრამპლინიდან ხტომაში გაიმარჯვა. და აი, ახლა ამ ქვეყნის წარმომადგენლებს ერთბაშად 5 ოქროს მედალი ხვდათ!

ისევ მარცხი

საბჭოთა კავშირის ბიატლონისტებისთვის რაუბიჩის სტარტები ნამდვილად უიღბლო გამოდგა — მასპინძლები ასე უხვიროდ არც ერთ სხვა მსოფლიო ჩემპიონატში არ გამოსულან. გუშინწინ აქ სარბიელი ისევ იუნიორებს დათმოთ. ამჯერად შეჯიბრება 3×7,5 კილომეტრზე ესტაფეტაში გაიმართა და სსრ კავშირის სპორტსმენებმა ისევე მარცხი იწვნიეს: ს. ბელოლაპეცკმ, ს. ხახულიამ და ი. გრუზდევმა ცუდად ისროლეს. საბოლოოდ 1:35.01 აჩვენეს და IV ადგილს დასჯერდნენ.

თავიდან გდრ-ის ბიატლონისტები დაწინაურდნენ, რომლებიც ბოლო ეტაპამდე ლიდერობდნენ. მაგრამ აქ მათ ნერვებმა ულალატათ. მეტოქის ეს „შეკრთომა“ ფინელებმა კარგად გამოიყენეს. კ. კუნტოლამ, ო. მიანისტომ და ე. ანტილამ ოქროს მედლები მოიხვეჭეს — 1:33.19. ვერცხლის ჯილდო გერმანელ მოთხილამურეებს ერგოთ — 1:33.55, ბრინჯაოსი — პოლონელებს — 1:34.43.

სპრინზო ადგილების ბედი ბოლო ეტაპზე გადაწყდა. გრუზდევმა დგომელა სროლაში სამიზნეს 2 ტყვია დააცილა. ეს საკმარისი აღმოჩნდა, რომ სსრ კავშირის „ტრიო“, რომელსაც „ოქროს მოპოვება“ შეეძლო IV ადგილზე აღმოჩნდა.

მაგდალენა სამოზვანეცი (პოლონეთი).

მხოლოდ მათთვის, ვისაც ეძღვნება

— შამათია! — ამოიხვნეშა პანფარანმა ისეთი ტონით, როგორც „უჰ!“-ს წარმოთქვამენ ხოლმე. ამ მოკლე წამოძახილში იყო ერთდროულად შვება, ტრიუმფი და დაუფარავი სიხარული.

— საინტერესოა, სად წასვალ შენი მეფით? — მასხრად აიღო მოწინააღმდეგე.

პეტრე პაველეკმა ისე გაიღიმა, როგორც დამარცხებული მოკრივე იღიმება ხოლმე: საწყალად, მაგრამ სიძულვილით ანთებული თვალებით. ჭადრაკის დაფა გვერდზე გასწია, შუბლზე ჩამოშლილი თმები უკან გადაიყარა და მეტოქეს უთხრა:

— ამისსენი ერთი, შენთან ყოველთვის რატომ ვაგებ? სხვებს ვამარცხებ, შენთან კი არაფერი გამომდის. მე ხომ არც ისე ცუდად ვთამაშობ ჭადრაკს.

— ცუდად რომ თამაშობდე, არც შეგეჯიბრებოდი, — მიუგო პარტნიორმა, — მე ყველა შემთხვევით კაცთან არ ვთამაშობ. აბა, ძეელო, — უთხრა შემდეგ და მხარზე ხელი მოუთათუნა, — არ დანაღვლიანდე, ჩემთან კიდევ არაერთხელ წააგებ. ჩემი დამარცხება ძნელია. სამაგიეროდ, შემიძლია განუგეშო, რომ ჩვენთან კვლავ შეიძლება გამოჩნდეს განყოფილების გამგის ადგილი. ხვალ დირექტორს მოველაპარაკები შენზე.

— რა კარგი ბიჭი ხარ, რომ გახსოვს.

— რას არ იზამ, კაცი შენისთანა სიმპათიური პარტნიორისთვის! მოდი, ერთი კიდევ შევუბეროთ. ოღონდ სწრაფად. რას იზამ, ფორას მოგცემ: თეთრებით დაიწყე.

ისინი ფიგურების განლაგებას შეუდგნენ და, როცა ყველას თავისი ადგილი მიუჩინეს, პეტრე პაველეკმა თქვა:

— ვვრძნობ, ისევ დავშამათდები. ბო, მართლა, ძვირფასო, შენს დაიკოს მოელაპარაკე ჩემზე? ვიცი, მოვწონვარ, მაგრამ ხომ იცი, ჩემი ამბავი... სიტყვა ცოლქმრობა მის მიმართ ისე უხეშად მიმაჩნია...

პანფარანმა მხიარულად გაიცინა.

— მოველაპარაკები, — თქვა მან, — რა არის საჩოთირო, როცა საუბარი ჭორწინებას ეხება. შენ ისეთი... მასეთი... ვაიკაცური ბიჭი ხარ, ის კი ისეთი... ნაზი და ქალწოანია! შესანიშნავი წყვილი იქნებით! აბა სვლა მიჩვენე.

— არა, მე შენს კუს არ მოვკლავ, — წაიბურტყუნა წუთის შემდეგ პაველეკმა. — შენი სულელი ფილ არის. განგვრე მისვამ.

მოთამაშეებმა რამდენიმე სვლა ხმაამოუღებლივ გააკეთეს. ღრმა ფიქრისგან შუბლი ნოჭებით დაეფარათ. ამ წუთში მათთვის მთელ სამყაროს ეს ერთი შავ- და თეთრუჯრედებიანი დაფა წარმოადგენდა.

— ჭიში ქალბატონს! წამოიძახა უცებ პაველეკმა.

— შენსასაც.

პანფარანმა მოწინააღმდეგის ლაზიერს ხის ქეროში წააგალო ხელი და გვერდზე გადადო. ასევე მოიქცა მისი პარტნიორიც.

— სწორია, — წაიბუტბუტა პანფარანმა, უდიდოფლოდ ვითამაშოთ. რად გვინდა დიაცები! ისედაც ერთ წუთში დავაბრძანებ მეორეს.

— ვერ მოგართვეს! — ჩაიბურტყუნა პაველეკმა.

— რა თავს იდებ, შე საცოდავო! იქნებ იმის იმედიც გაქვს, რომ დამაშამათებ?

უპირატესობა ამჯერად მართლაც მოწინააღმდეგის მხარეზე იყო, რომელიც სერიოზულად ძაბავდა მთელ ყურადღებას და ყოველ სვლას ყოველმხრივ ზომავდა. პანფარანი შიმისა და მღელვარების შესანიღბავად რაღაც მელოდიას დუდღუნებდა.

— ჭიში და... შამათი! — წამოიყვირა მოულოდნელობისგან გაფითრებულმა პაველეკმა. — საინტერესოა, სად წასვალ შენი მეფით? აქ იტლია, იქ იტლია, იმ მხარეს კი პაიკია! — მან სიხარულით ხელები მოიფშვნიტა. — ბოლოს და ბოლოს, ერთხელ მაინც ხომ დაგაშამათე! თანაც რა კლასიკურად! აბა, შეხედე ერთი, მეფე დაფის კუთხეშია მიმწყვდეული და ადგილიდან ვერ იძვრის.

— კიდევ კარგი, ერთხელ მაინც გაუღიმა ბედმა ბეჩავსა და გლახაკს, — თქვა პანფარანმა აგდებულად, — ჩემი ბრალია. დაუდევრად მოვიქეცი. მთელი ამ ხნის განმავლობაში შენს თანამდებობაზე ვფიქრობდი და იმ დასავნამდე მივედი, რომ ხელმძღვანელი სამუშაოსთვის შეუფერებელი ხარ. არც ენერგია გაქვს და ვერც საქმეში ერკვევი სრულყოფილად.

— რაო?! დავავიწყდა, ერთი წუთის წინ რას ამბობდი? რას იზამ, ამ საქმეზე ალბათ მე თვითონ ზომიწევს ზრუნვა. მაგრამ, ვიმედოვნებ, საღამოს შენ დაიკოს მოველაპარაკები. ქმენ ჩემი გულისთვის...

— ნუთუ მართლა სერიოზულად ფიქრობ ამაზე? — გესლიანი ირონიით გაიცინა პანფარანმა. — იგი ისეთი ნორჩია, შენ კი ხამდვილი ბებერკაცი ცხენი ხარ. არ უხდებით ერთმანეთს... აბა, კარგად მეყოლე, ბებერო! და იცი რა: ლაყბობა არ დაიწყო, რომ ბომიგე. უბრალოდ სამარცხვინოა, რომ შენისთანა პროფანმა დაამარცხა... ოსტატი კარგად მეყოლე! არ ვიცი, კიდევ როდის მოვალ კლუბში.

თარგმნა შ. ამირანაშვილმა

დანაშაული და სასჯელი

სპორტის არც ერთი სახეობა არ მოითხოვს ისეთ ფიზიკურ დატვირთვას, როგორსაც ჰოკეი. ამიტომაც ითვლება იგი ძლიერთა და მამაცთა სპორტად.

ჰოკეის მოედანი უამრავი თავსატეხი სიტუაციის სარბიელია, სადაც წამდაუწუმ ირღვევა ბრძოლის ნებადართული წესები. ამ თამაშში მუდამ არსებობს საშიშროება, რომ წაიშალოს ზღვარი დასაშვებსა და დაუშვებელს შორის. იმისთვის, რომ ვნებებს დროულად ამოსდონ ლაგამი, არსებობს სპეციალური სამდივნო, რომელიც ზუსტად აღნუსხავს წესების ყველა დარღვევას.

ამ სურათებზე თქვენ ხედავთ, ერთ წამში თუ როგორ გადაიზარდა მარტივი სათამაშო სიტუაცია დანაშაულში. მსაჯებმა დროზე შეაფასეს დანაშაულის ხარისხი და დამნაშავეებს ღირსეული სასჯელიც გამოუტანეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი ძოძაო ★ ფეხბურთელები

„მოცურავეთა ციხესიმაგრე“

კარელიელ მექანიკოსთა ქალაქის — კონდოპოგის ფიზკულტურელებმა შეასანიშნავი საჩუქარი მიიღეს: მწყობრში ჩადგა ახალი საცურაო ბაზა. თუ წინათ მექანიკოსთა საყვარელი სასეობები იყო სათხილამურო სპორტი და ციგურაობა, ამიერიდან ცურვაც სათანადოდ განვითარდება. მშენებლების მზრუნველი ხელით აგებულ „ციხესიმაგრეში“ შედის არა მარტო 25-მეტრიანი აუზი 3- და 5-მეტრიანი ტრამპლინებით, არამედ რამდენიმე დარბაზი ცურვაში მოსამზადებელი მეცადინეობისთვის, ვრცელი გასახდელები, საშხაპეები, ექიმებისა და მეთოდისტების კაბინეტები, რადიოკვანძი. წყლის სისუფთავეს კონტროლს უწევს საგანგებო ლაბორატორია. საცურაო აუზის ირგვლივ დაგებულია ზარმაცილოს ფილების ბილიკი, რომელიც ქვევიდან თბება.

კარელიის ასსრ.

„ლაზიერის“ კლუბი

„ლაზიერი“ — ასე ჰქვია საჭადრაკო კლუბს, რომელიც ყველაზე ღრმა რაიონულ ცენტრში — პეტუხოვშია აგებული. აქ ჩატარდა პირველი შეჯიბრებები მახლობლად მდებარე საბჭოთა მეურნეობათა წარმომადგენლების მონაწილეობით. გარდამავალი პრიზი გაგარინის სახელობის საბჭოთა მეურნეობის მოჭადრაკეებს ხვდათ.

წინათ პეტუხოველთა სპორტული კალენდარი ეპიზოდური სასკოლო „ბატალიებით“ იყო შემოფარგლული, კლუბმა კი ბევრი ენთუზიასტი გააერთიანა. დაგეგმილი აქვთ ადგილობრივი სამრეწველო საწარმოების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმომადგენელთა შეხვედრები.

„ლაზიერში“ საოლქო ცენტრიდან მოწვეული ცნობილი მოჭადრაკეები ხშირად აწყობენ საუბრებსა და საწვრთნელ მეცადინეობებს. ამ მოჭადრაკეთა შორისაა, მაგალითად, ნ. რაშკოვსკი, რომელიც ქვეყნის ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში გამოდის.

ჭერჭერობით კლუბს სათამაშო დაფები არ ჰყოფნის. „საღამოს სხდომებზე“ აქტივისტებს შინიდან მიაქვთ ჭადრაკის კომპლექტები. აკლიათ ჭადრაკის საათები, სასწავლო სახელმძღვანელოები, მაგრამ „ლაზიერის“ წევრები გულს არ იტეხენ — იმედი აქვთ, რომ მდგომარეობა თანდათან გამოსწორდება.

კურგანი.

კარგი საჩუქარი

დაბა სლავსკოეს თოვლიან ტრასებს კარგად იცნობენ საბჭოთა კავშირის სამთომოთხილამურეები, რომლებსაც ბევრჯერ ჩაუტარებიათ აქ თავიანთი ჩემპიონატები. მსოლოდ ის იყო ცუდი, რომ დიდი შეჯიბრებების დროს საცხოვრებელი ბინები არ ჰყოფნიდათ. ახლა სამთომოთხილამურეებს შესანიშნავი საჩუქარი მიუძღვნეს ლვოვის დინამოელემმა, რომლებმაც 200-ადგილიანი ახალი ბაზა ააგეს. ეს „მთის თავშესაფარი“ ზაფხულში ფეხით მოგზაურობისა და ცხენოსნობის მოყვარულებსაც გამოადგებათ.

კარპატის მთების სათხილამურო სპორტის დედაქალაქის ახალმშენებლობათა შორის უნდა დავასახელოთ ორი საბავირო ბაზა, რომლებსაც სპორტსმენები სტარტის ადგილზე აჰყავს. ამ გზების საერთო სიგრძე უკვე 8 კილომეტრს აღწევს.

ლვოვი.

საჯარო ოლიმპიადა

ფინალისტთა საქმეები

● ჰოლანდიის საფეხბურთო კავშირმა მოიწონა მზადების გეგმა, რომელიც წარადგინა უფროსმა მწვრთნელმა ფ. ფადრონცმა. გუნდი საწვრთნელ ბანაკში შეიკრიბება ქ. ცისტში, გერში კი გაემგზავრება მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე 3 დღით ადრე.

ნაკრების ტექნიკურმა დირექტორმა რ. მიკელსმა ყველა მოთამაშეს გამოუცხადა, რომ, თუ რომელიმე მათგანი ერთხელ მაინც იტყვის უარს და არასაპატიო მიზეზით გააცდენს საწვრთნელ მატჩს, მის მიმართ მიიღებენ მკაცრ ზომებს. ჰოლანდიელ ფეხბურთელთაგან ზოგიერთს არ მოსწონს ასეთი „ორხელისუფლიანობა“ ნაკრებში. კერძოდ, ცნობილმა მცველმა ჰულსჰოფმა გამოთქვა დაახლოებით ასეთი აზრი: ნაკრებს უნდა ჰყავდეს ერთი, სრულუფლებიანი, ნამდვილი ხელმძღვანელი, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი დაემსგავსება გემს, რომელსაც ორი კაპიტანი მართავს.

● სულ ახლახან გამოცხადდა, რომ ჰოლანდიაში შეიქმნა ეროვნული ფონდი ნაკრების დასახმარებლად. ფირმებს, დაწესებულებებს, სავაჭრო გაერთიანებებს, ცალკეულ მოქალაქეებს შეაქვთ შეწირულებანი, რომელიც ფეხბურთელთა დასაჯილდოებლადაა განკუთვნილი, თუ ისინი წარმატებით გაივლიან ფინალური ტურნირის პირველ ეტაპს.

● უცხოეთის პრესაში წერენ, რომ ციფრი 13 სულაც არ ყოფილა თარსი. იუგოსლავიის ნაკრები 13 თებერვალს შეხვდა ესპანელებს და სწორედ მე-13 წუთში გაიტანა ერთადერთი, გადამწყვეტი გოლი. ეს ახია, მაგრამ ერთი ესპანელებსაც ჰკითხეთ, როგორია ეს ციფრი!..

უოფილმა მსოფლიო ჩემპიონმა პროფესიონალ მოკრივეთა შორის ჯო ფრეზიერმა ამას წინათ მუჰამედ ალისთან მატჩი წააგო. მაგრამ ამ დამარცხებამ ფრეზიერს გული ვერ გაუტეხა. კაპიტალისტურ სამყაროში პროფესიონალი სპორტსმენისთვის სხვა გზაც ხსნილია და ფრეზიერმაც არ დააყოვნა: ლონდონელებს ამჯერად მანეკენის როლში წარუდგა. იგი საცეკვო კლუბის წინ იდგა და გამვლელ-გამომვლელს უჩვენებდა ახალ მოდურ ტანსაცმელს: შავ პერანგს, მოვერცხლისფრო შავ შარვალს და მაღალქუსლიან ფეხსაცმელს.

ფეხბურთელთა წლევანდელი მსოფლიო ჩემპიონატის სიმბოლო — ტიპი და ტაპი — უკვე უაღრესად პოპულარულია მთელ დასავლეთ ევროპაში. ტიპი და ტაპი ამას წინათ ლონდონში გამართულ პრეს-კონფერენციაზეც გამოჩნდნენ. ისინი გამოსახული იქნებიან მსოფლიო ჩემპიონატის უველა სუვენირზე. ჩემპიონატის ორგანიზატორები იმედოვნებენ, რომ ბრიტანეთში სუვენირებით ვაჭრობით 100000 გირვანქა სტერლინგს მოიგებენ, რაც ხარჯებს ნაწილობრივ აუნაზღაურებთ. სულ კი ჩემპიონატის ფინალური შეხვედრებისთვის გფრ-ის რვა ქალაქში დაახლოებით 12 მილიონი გირვანქა სტერლინგი უნდა დაიხარჯოს. მაგრამ ვინ იცის, გამართლდება თუ არა ორგანიზატორთა იმედი. ვაითუ ინგლისში ვაჭრობა კარგად ვერ წავიდეს, რადგან ამ ქვეყნის ფეხბურთელები ყველასთვის მოულოდნელად გამოეთიშნენ ასპარეზობას.

მორიგი ტირაჟები

28 თებერვალს მოსკოვში მოეწყო „სპორტლოტოს“ და „სპორტლოტო-2“-ის მორიგი ტირაჟები. შეამოწმეთ ბილეთები:

„სპორტლოტო“ — 1 (ავიასპორტი), 3 (აკრობატიკა), 10 (საბუერო სპორტი), 11 (ველოსპორტი), 39 (სამბო), 47 (ჰოკეი ბურთით);

„სპორტლოტო-2“—12 (წყალსამოტორო სპორტი), 13 (წყალსათხილამურო სპორტი), 14 (ფრენბურთი), 28 (მაგიდის ჩოგბურთი), 33 (რეგბი), 45 (ფეხბურთი).



საინტერესოა, რომ ამ მატჩს მაინის ფრანკფურტში ესწრებოდა 460 ჟურნალისტი, 53 ტელეკომენტატორი, აგრეთვე, მსოფლიო ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის სპეციალური კომისია მისი თავმჯდომარის გ. ნიბერგერის მეთაურობით.

ამას გარდა, მატჩზე იყვნენ ფინალური გათამაშების მონაწილე გუნდების უფროსი მწვრთნელები: ზაგალო (ბრაზილია), ორმონდი (შოტლანდია), ვალკარეჯი (იტალია), ფადრონცი (ჰოლანდია), ერიქსონი (შვეცია), გურსკი (პოლონეთი), ბუშმერი (გდრ), შიონი (გფრ).

● მსოფლიო ჩემპიონატის ორგანიზატორები ყველა ზომას მიმართავენ, რათა საქმის ფინანსური მხარე ყოველმხრივ დამაკმაყოფილებლად გამოიყურებოდეს. და ახლავე შეიძლება ითქვას, რომ შემოსავალი დიდი იქნება.

საორგანიზაციო კომიტეტი ვარაუდობს, რომ 12 მილიონი დასავლეთგერმანული მარკა შემოვა სუვენირების, ემბლემების, ცნობარების, კალენდრების გაყიდვით. ამას გარდა, ლუდის, ღვინის, ტანსაცმლის, სპორტული საქონლის მწარმოებლები დიდძალ თანხას იხდიან თავიანთ პროდუქციაზე ჩემპიონატის ემბლემის სარეკლამოდ გამოყენების უფლების მისაღებად.

ყურადღების ცენტრშია ემბლემის ფიგურები — ტიპი და ტაპი. მხატვარი ჰ. შაფერი, რომელმაც ისინი შექმნა, შეკვეთას შეკვეთაზე ღებულობს.

● პოლონეთის ნაკრების ლიდერს ვ. ლიუბანსკის ექვსი თვე არ უთამაშია მძიმე ტრავმის გამო. ახლა იგი გამოჯანმრთელდა და ექიმების ნებართვით გამოვიდა მინდორზე.

● გფრ-ის ნაკრებს ერთი „თილისმა“ ჰყავს — 90 წლის ზ. ჰერბერგერი, რომლის ხელმძღვანელობითაც გერმანელებმა 1954 წელს მსოფლიო ჩემპიონობა მოიპოვეს. ჰერბერგერს საგანგებო ექიმი მიუჩინეს, რათა ჯანმრთელი და მხნე იყოს ჩემპიონატის დღეებში და დაესწროს გფრ-ის გუნდის მატჩებს.

● შოტლანდიის ეროვნული ნაკრების მოთამაშეები 30 მილიონ დასავლეთგერმანულ მარკად არიან დაზღვეული. ეს ნიშნავს, რომ განაცხადში შეტანილი 22 ფეხბურთელიდან თითოეული ტრავმის შემთხვევაში 1.200.000 მარკას მიიღებს.

შეგახსენებთ, რომ ინგლისელი ფეხბურთელები 1970 წლის მეხიკოს ჩემპიონატში დაზღვეული იყვნენ სულ 18 მილიონ მარკად. ამის შემდეგ კიდევ იტყვიან, შოტლანდიელები ძუნწები არიანო!...

ჰოლანდიური ექსპორტი

ჰოლანდიელთა ავტორიტეტი საერთაშორისო ფეხბურთში სულ უფრო იზრდება. წავიდა ის დრო, როცა ჰოლანდია თვით აწარმოებდა ფეხბურთელთა იმპორტს (კინდვალი შვეციიდან, ბლანკენბურგი გფრ-დან და ა. შ.). გარდა კრუიფისა, რომლის თამაშმაც ნამდვილი ფურორი მოახდინა ესპანეთში, კიდევ რამდენიმე ჰოლანდიელი წარმატებით გამოდის საზღვარგარეთის კლუბებში. ბელგიის კლუბებში თამაშობენ რენსენბრინკი („ანდერლეხტი“), გეელსი, ჰოუვჰაარტი („ფკ ბრიუჟი“), კოენსი, ბერგჰოლცი, ვეენსტრა („რესინგი“), საფრანგეთისა— ვან დიკი („ნიცა“), იანსენსი („ნიმი“), კლიინიანი („სოშო“).

ბევრ სხვა კლუბსაც უნდა ჰოლანდიის ნაკრების რამდენიმე მოთამაშის გადაბირება, მაგრამ მსოფლიო ჩემპიონატის დამთავრებამდე ნაკრების ხელმძღვანელობა შეინარჩუნებს თავის კადრებს.

● ●

პოლიციელად გადაიცვა

„ვენისა“ და „ინტერის“ მატჩი იტალიის ჩემპიონატში ფრედ (1:1) დამთავრდა. გენუელმა გულშემატკივრებმა მიიჩნიეს, რომ მათს გუნდს 2 ქულა უნდა აეღო და ასეც მოხდებოდა, რომ მსაჯს უსირცხვილო მეკერძოება არ გამოეჩინა. 3 საათს გრძელდებოდა მსაჯის ოთახის ალყა. გამძვინვარებულ გულშემატკივრებს ძლივს იგერიებდა პოლიცია. ბოლოს მათ გამოუცხადეს, ტყუილად არ იშლებით, მსაჯის ოთახში აღარავინაა, ეს სწორი აღმოჩნდა: თურმე მსაჯმა პოლიციელის ტანისამოსი გადაიცვა და შეუმჩნეველად დატოვა სტადიონი.

● ●

ნაკრებშიც და კლუბშიც

ეს შემდეგ, რაც პორტუგალიის ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში ვერ მოხვდა, მისმა მწვრთნელმა ქ. აუგუსტომ მიიჩნია, რომ თამამად შეუძლია შეთავსებითაც იმუშაოს. ამიტომ იგი სეტუბალის „ვიტორიას“ ჩაუდგა სათავეში. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ამ გუნდში თამაშობს აუგუსტოს ძველი პარტნიორი პორტუგალიის ნაკრებიდან, ცენტრალური თავდამსხმელი ტორესი, კარგად ცნობილი მაღალი შედეგიანობით. ტორესი, რომელიც ნაადრევად ჩამოწერეს დიდი ფეხბურთიდან, ახლა წარმატებით გამოდის „სეტუბალში“.



ავტოსპორტი

▲ სან-პაულო. აქ გაიმართა მსოფლიო ჩემპიონატის მეორე ეტაპის შეჯიბრება 1-ელი ფორმულის ავტომანქანებით რბოლაში. გაიმარჯვა ე. ფიტიპალდიმ (ბრაზილია). II ადგილი დაიკავა კ. რეგაცონმა (შვეიცარია). ორი ეტაპის ჯამში ლიდერობს რეგაცონი, რომელსაც 10 ქულა აქვს. ფიტიპალდი 9 ქულით II ადგილზეა.

▲ ჰელსინკი. ტ. რაინოს (ფინეთი) ეკიპაჟმა მოიგო საერთაშორისო რალი არქტიკაში. II ადგილი წილად ხვდათ ს. ბლომვისტის (შვეცია), III — ტ. მაკინენის (ფინეთი) ეკიპაჟებს.

▲ ლონდონი. ინგლისურმა ფირმამ „ლოტუსმა“ აქ ჟურნალისტებს წარუდგინა მოდელი 1-ელი ფორმულის ახალი სარბოლო მანქანისა, რომელსაც მაისში ინგლისში გამოცდის შვედი ავტომრბოლელი პეტერსონი.

ტანვარჯიში

▲ ბერლინი. გფრ-ის ტანმოვარჯიშეები საჩვენებელი გასოლვებისთვის გაემგზავრნენ ინდოეთში, ბირმასა და ცეილონში. ბირმის ქალაქ პეგუნში გამართულ შეჯიბრებას 10 ათასი მაყურებელი დაესწრო.

▲ ტოკიო. ოლიმპიური თამაშების 6 და მსოფლიო ჩემპიონატების 7 მედლის მფლობელმა, იაპონელმა ტანმოვარჯიშემ ა. ნაკაიამამ თავი დაანება აქტიურ სპორტს და მწვრთნელად მუშაობა დაიწყო.

სხვადასხვა

▲ რომი. აქ გამოვიდა იტალიელი სტატისტიკოსების — ლ. მონგონის, რ. მაგნუსენის, მ. სიკორასა და დ. ტერის წიგნი „მძლეოსნობის განვითარება 1800-დან 1972 წლამდე“. წიგნში თავმოყრილია ამ პერიოდში ყველა ქვეყნის მძლეოსანთა მიერ ნაჩვენები საუკეთესო შედეგები.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.



გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

რედაქციის მისამართი: 380098 თბილისი. ლენინის ქ. 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლენო“

ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50. რედაქტორის მოადგილე — 93-97-57, პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52 მასობრივ-ფიზკულტურული და მოსწავლე-ფიზკულტურის ახალგაზრდობის განყოფილება — 93-97-55. სპორტული განყოფილება — 99-56-47, 93-97-53. ფეხბურთის განყოფილება—99-81-71. 93-97-56. ჭადრაკის განყოფილება—93-97-51, წერილების განყოფილება — 93-97-54, მემანქანეთა ბიური — 93-97-59, ფოტოლაბორატორია— 93-97-58 გამომკითხავები—93-93-81. კორექტორები — 93-97-49.